ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

8 (9948) • 5 martі • 2012 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

ძვირფასო ქალბატონებო!

გილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს! თქვენ ხომ გაზაფხულივით აღამაზებთ და ამშვენებთ ჩვენს ცხოვრებას, გვმატებთ სიცოცხლის ხალისსა და ბრძოლის უნარს. ქართველი ქალი მუდამ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის წინსვლასა და წარმატებაში. თქვენ უნდა ალუზარდოთ ქვეყანას მომავალი თაობა. თაობა, რომლითაც იამაყებს საქართველო.

გისურვებთ გეცხოვროთ გაერთიანებული, გაბრწყინებული საქართველოში, სადაც თქვენი ღვაწლი მუდამ დაფასებული იქნება.

უღრმესი პატივისცემით
ალეკო მამეშვილი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

იქნება ქალი ბედნიერი? ბედნიერი იქნება სამყარო

არასამთავრობო ორგანიზაცია კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“, თავისი აქტიური საქმიანობით ბევრისთვის კარგადაა ცნობილი. ხელმძღვანელი ქ-ნი ალა გამახარია გახლავთ. ფონდი ძირითადად ქალთა საკითხებზე მუშაობს და შექმნილი აქვს ქალთა კლუბები დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. მათ შორის ოზურგეთში. ოზურგეთის კლუბში 25 ქალბატონია წარმოდგენილი. კლუბის კოორდინატორი მანანა ლეშკაშელი გახლავთ, მოდერატორები - ნანა კეკელიძე და ილონა სეროვა. ფონდის ინიციატივითა და დაფინანსებით წლების მანძილზე არაერთი ტრეინინგი, სემინარი თუ დებატები გაიმართა და ყველა მათგანი

გვ-3

რატომ გაიმეტეს კულტურული მემკვიდრეობა?!

გაზეთი „ალიონი“

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ქ. ოზურგეთის №1 საშუალო სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა საუკეთესო პიროვნება გიორგი ხოხლენკო. იგი ისტორიას ასწავლიდა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ისტორიის ცოდნას. მის მოსწავლეთაგან, არაერთ თაობას ახსოვს ბატონი გივის მიერ მოწყობილი ექსკურსიები ვანის გათხრებზე, გელათში, ნოქალაქევში, გონიოში და ა.შ. მაგრამ ამის გარდა ყოველწლიურად აწყობდა შიგა ექსკურსიებს, ოზურგეთის სიძველეების გასაცნობად. არაერთხელ უსაუბრია მაშინდელი „წყვების“ზემოთ, გურიელის სასახლის მიმდებარე ძველი აბანოების ნაშთებზე, მიწისქვეშა გვირაბებზე, რომელთა გათხრებიც მისი თქმით, რამდენიმე საუკუნით „დაძველებდა“ ოზურგეთის ისტორიას.

კომუნისტებმა ვერ გასული საუკუნის 50-იან წლებში რესტორან „იზაბელას“ და შემდგომ 70-იანი წლების ბოლოს ლენინ ილიჩ ბრეჟნევის საამებლად, მე-18 არმიის საბრძოლო დიდების მუზეუმის მშენებლობისას გარკვეულწილად დააზიანეს მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლი, რაზედაც თავის გულისტკივილს გამოხატავდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მაშინდელი დირექტორი, ისტორიკოსი ენვერ გოგუაძე. ამჯერად კი, 21-ე საუკუნის მეორე ათეულის დასაწყისში, იუსტიციის სახლის მშენებლობისას ძეგლს უხეშად შეეხნენ. მშენებლებმა მართალია გურიის ხელისუფალთ არქეოლოგიური აღმოჩენის შესახებ შეატყობინეს, (მათაც საიდუმლოდ მოინახულეს მშენებლობა), მაგრამ მშენებლობის ეზოში ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები არ შეუშვეს(?!) გურიის ხელისუფალთ, როგორც ჩანს, შეეშინდათ, არქეოლოგებს გათხრების ჩატარება არ მოეთხოვათ (როგორც ეს ცივილურ ქვეყნებში ხდება) და მშენებლობის სწრაფ ტემპს ცოტა ხნით ხელი არ შეშლოდა. თუმცა, როგორც ამბობენ, მათ შესაბამის სამსახურს ამის შესახებ შეატყობინეს.

ვაჟა სადრაძე, *გურიის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, პროფესორი:*–იუსტიციის სამინისტროდან ოზურგეთში, იუსტიციის სახლის მშენებლობისას აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლის შესახებ არაოფიციალურად შემატყობინეს. გათხრებისას მშენებლობის კუთხეში აბანოს ზედა სართული გამოჩნდა. ამ თემაზე არქეოლოგი გერმანე გობეჯიშვილი გასული საუკუნის 50-იან წლებში წერდა გაზეთ „ლენინის დროშაში“ და მასზე ორი აზრი არსებობს. არ გამოვრიცხავ, რომ ეს გურიელის აბანო იყოს, რადგან ეს ადგილი გურიელის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაა, მაგრამ ჩემი ვარაუდით აქ მეორე აბანოც უნდა იყოს, ანტიკური ხანის მომდევნო პერიოდში ნაგები. სავარაუდოდ I-IV საუკუნეში აგებული. მის დაზუსტებას შესაბამისი სამუშაოების ჩატარება დასჭირდება, რასაც არაოფიციალურად იუსტიციის სამინისტრო შემპირდა...

ამ შეპირების მუხედავად, პირველ მარტს ოზურგეთის ისტორიის უძველეს მატიანეს მძლავრი ტრაქტორი აბურთავებდა. მშენებლებმა არა მარტო ძველი კედლის საძირკველი არამედ, კომპანია „სილქნეტის“ კაბელი და ქალაქის წყალმომარაგების ერთ-ერთი მილიც დააზიანეს.

–აქ წყალი და კომუნიკაცია 1966 წელს გაატარეს. კედლის ეს საძირკველი ჩვენ არ დაგვიზიანებია, ეს ადრეა დაზიანებული, –თავი იმართლა ერთ-ერთმა მშენებელმა, რომელიც ვერ სამუშაოთა მწარმოებლად გაგვეცნო, ხოლო შემდეგ სახელის და გვარის თქმისგან თავის შეიკავა და რიგითი მუშა ვარო–თქვა.

ტრაქტორის შენობის კომუნიკაციების გასაყვანი თხრილებიდან შეზვინული მიწისა და ღორღის გროვაში ძველი ნაგებობის ქვა-კირისა და კერამიკის ნარჩენებსაც ნახავდით, რომელიც თითქოს გვეუბნებოდა:–თქვე კაი ხალხო, საუკუნეებს გავუძელი და ახლა რა უბედურება დაგემართათ, თქვენც ბოლშევიკები ხომ არ ხართ, თქვენი ქვეყნის, თქვენი ქალაქის ისტორიას ბულდოზერით როგორ გადაუარეთ?

გურიის „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი თემურ სალუქვაძე

პარლამენტში საკაშვილის გამოსვლამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა საქართველოს მოსახლეობა პოლიტიკური ცვლილებების აუცილებლობაში. ყველამ თვალნათლივ დაინახა პირველი პირის გაუწონასწორებლობა, მისი არაადექვატური ქცევა.

ეს იყო პრეზიდენტის ინსტიტუტის შეურაცხყოფა. პრეზიდენტი ასე არ უნდა მსჯელობდეს, არ უნდა მეტყველებდეს, არ უნდა მოქმედებდეს. ფაქტიურად მან ოპოზიციის ვერცერთ არგუმენტირებულ შეკითხვას ვერ გასცა პასუხი, არ აღმოჩნდა მზად და კონტროლიც კი დაკარგა.

საკაშვილმა თავისი ყოველწლიური ანგარიშით, თავისი ვირტუალური პროგრამებითა თუ ხედვებით ვერ გაუჩინა ხალხს განცდა უკეთესი მომავლისა. ის შეეცადა შიშის სინდრომი, ნიჰილიზმი გაეძლიერებინა მათში. ამან კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა საქართველოს მოსახლეობა და ჩვენი პოლიტიკური კოალიცია იმ დასახული ამოცანების ჭეშმარიტებაში, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის სრულ დარაზმვას და არჩევნების გზით ამ ხელისუფლების ჩამოშორებას.

ჩვენს მიერ დაწყებული პროცესი სრულ თანხვედრაშია მოსახლეობის მოთხოვნებთან, ამიტომაც დარწმუნებული ვარ, რომ პროცესი შეუქცევადია და წარმატება გარდაუვალი.

მგლები ქალაქის განაპირა უბნებშიც გამოჩნდნენ

ჩვენ არაერთხელ ვწერდით მტაცებელი ცხოველების მიერ (მგელი, დათვი) როგორ შევიწროებულია მუნიციპალიტეტის მთისპირა სოფლების მოსახლეობა, მათ ათეულობით მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვზე მიადგათ ზიანი.

მგლები არა მთის, არამედ ბარის სოფლებსაც სტუმრობენ აქაც ზიანს აყენებენ მოსახლეობას.

გასულ კვირას მგლები ქ. ოზურგეთის განაპირას, ანასეულშიც გამოჩნდნენ და ორ ლურჯას გაკრეს კბილი, ცხენების მეპატრონე და ადგილობრივი მოსახლეობა შიშობენ, რომ მტაცებელი ღამით მოსახლეობისთვისაცაა საშიში და ხელისუფლებიდან პრევენციული ზომების გატარებას ითხოვენ.

7 დღის ამინდის პროგნოზი



წვიმიანი თოვლი
-2+3
5 მარტი, ორშაბათი



წვიმიანი თოვლი
-1+6
6 მარტი, სამშაბათი



წვიმიანი თოვლი
-2+5
7 მარტი, ოთხშაბათი



წვიმიანი თოვლი
-2+5
8 მარტი, ხუთშაბათი

კოკისპირული წვიმა
-3+13
9 მარტი, პარასკევი

წვიმა
-3+13
10 მარტი, შაბათი

ღრუბლიანი
+2+10
11 მარტი, კვირა

ძვირფასო ქალბატონებო, ბატონებო ვაზისფერულის ლამაზ დღესასწაულებს!

ყველა ქალს ჰქონდეს დიდი სიყვარული, ახდენდეთ ლამაზი ოცნებები. შვილთა სიმრავლით ცოფილიყოს ჩვენი დედები მედნიერები, წარმატებები გქონდეთ საზოგადოებრივ საქმიანობაში, ლამაზ და გამთლიანებულ საქართველოში გეცხოვროთ!

მიხეილ გოგოტიშვილი,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე.

შპს „გზამშენი 18“ გილოცავთ გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებს. ბედნიერი დედები, ბედნიერი ქალები ყოფილიყოთ, სიყვარულით გეცხოვროთ. მუდამ მშვიდობიანად გევლოთ ცხოვრების გზებზე.

თემურ ჯახვა,
შპს „გზამშენი 18“-ის დირექტორი, საკრებულოს დეპუტატი



გილოცავთ გაზაფხულის შემობრძანებას - ჯერთან და ოჯახის ოჯახს. გახარებთ ბედნიერებას, შვილთა სიმრავლეს, წარმატებებს ცხოვრებისეულ ცხოვრებაში.

ზაზა ჯინჭარაძე,
ალ. წუწუნავას სახელობის ოზურგეთის სახელმწიფო-დრამატული თეატრის დირექტორი

გილოცავთ!

საქართველოს საზოგადოება „ენერგო ჰრო ჯორჯიას“ ოზურგეთის მომსახურების ცენტრი ყველა ქალბატონს ყვავილოვანი გაზაფხულის ლამაზ ლღესასწაულებს!

გია ნაკაიძე,
სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ოზურგეთის მომსახურების ცენტრის მენეჯერი.

„ისტორიულ მემკვიდრეობას ბულდოზერებით მიწა მიაყარეს!“

– „ჩვენ, თავისუფალი დემოკრატები აღშფოთებას გამოვთქვამთ იმ ფაქტზე, რომელმაც კიდევ ერთხელ დაგვანახა, ჩვენი ხელისუფლების დაუდევარი და უზნეო ბუნება, ამჯერად ისტორიული მემკვიდრეობის მიმართ უღირსი დამოკიდებულების გამოვლენით.

ოზურგეთის ცენტრალურ, უფრო კონკრეტულად იუსტიციის სახლის მშენებლობის ადგილზე, იქ სადაც ისტორიული წყაროების მიხედვით, გურიელის ციხე - სიმაგრე უნდა ყოფილიყო და ასევე ორი აბანო: ერთი გურიელის სასახლესთან მდებარე და მეორე წინარე ანტიკური ხანის, მომდევნო პერიოდით დათარიღებული, მიმდინარე მშენებლობისას აღმოჩენილ იქნა, სწორედ ზემოთნახსენები ძველი ისტორიული ნანგრევების ნაშთები, რასაც ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. პირიქით, მათ ქართველ ხალხს დაუმალეს ეს მნიშვნელოვანი მოვლენა და ძველ ისტორიულ მემკვიდრეობას ბულდოზერებით მიწა მიაყარეს.“ – განაცხადა პრესკონფერენციაზე, გურიის „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა თეჰურ სალუქვაძემ, რომელიც შეეხებოდა ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიმდებარედ, იუსტიციის სახლის მშენებლობის შედეგად გადათხრილ ტერიტორიაზე ნაპოვნი არქეოლოგიური მემკვიდრეობისათვის უდიერად მოპყრობას.

მისი თქმით, ისინი მშენებლობას კი არ ეწინააღმდეგებიან, მშენებლობის ადგილის არასწორად შერჩევას აპროტესტებენ.

ამ ფაქტით კიდევ ერთხელ დამტკიცდა ჩვენს მიერ მრავალჯერ გაჟღერებული აზრი იმის შესახებ, რომ აღნიშნული მშენებლობის ადგილი თავიდანვე არასწორად იქნა შერჩეული. ეს არის კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტი იმისა, რომ ზოგადად სამშენებლო ობიექტების ადგილის შერჩევა არ ხდება სწორად, არ ხდება ქალაქის განვითარების შესაბამისად და კომპეტენტური გეოლოგების დასკვნების საფუძველზე. ამ ხელისუფლებას სურს წარსულის მოსპობით მომავალი ააშენოს, რაც

არაკანონზომიერია და ბუნებაში არ ხდება.

ჩვენ. თავისუფალი დემოკრატები მოვუწოდებთ ადგილობრივი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტებს: - აქტიურად ჩაერთონ ამ საკითხის შესწავლაში, მოძიებასა და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებაში. ასევე მივმართავთ ადგილობრივ ხელისუფლებას: - სასწრაფოდ საქმის კურსში ჩააყენონ ყველა შესაბამისი უწყება, რათა მოახდინონ რეაგირება. ჩვენ, ჯერ არ ვიცით რა ისტორიულ ღირებულებასთან გვაქვს საქმე, შესაძლოა ეს იყოს უნიკალური ისტორიული მემკვიდრეობა, ამიტომაც მოვითხოვთ, რომ აღნიშნული მოვლენა შესაბამისი სამსახურებისა და პროფესიონალების მიერ იქნას შესწავლილი, – განაცხადა მან.

ვულოცავთ!



მრავალმილიონიანმა რუსულმა მკითხველმა მიიღო საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტის, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილის, ქართული კულტურის დესპანისა და მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატის, დავით შემოქმედელის მოთხრობების წიგნი "რატომ ტირიან ჩიტები ზამთარში". წიგნი რუსულ ენაზე თარგმანა ივანე მაჩაბლის პრემიის ლაურეატმა, რუსულენოვნმა ქართველმა მწერალმა ვლადიმერ სარიშვილმა.

ამ დღეებში გრიბოედოვის სახელმწიფო თეატრში მოეწყო აღნიშნული წიგნის წარდგინება. საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ ქართული მწერლობისა და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ზღაპრის დღე

24 თებერვალს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრი, ოზურგეთის ცენტრალური ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილების თანამშრომლებს მასპინძლობდა. ცენტრალური ბიბლიოთეკის ინიციატივით, ცენტრის აღსაზრდელებს სტუმრებმა „ზღაპრის დღე“ მოუწყვეს. სახალისო ვიქტორინებმა, ზღაპრულ სამყაროში მოგზაურობამ, საყვარელ ზღაპრის გმირებთან შეხვედრამ ბავშვების დიდი ინტერესი გამოიწვია. ისინი აქციის ორგანიზატორებთან ერთად აქტიურად მსჯელობდნენ წაკითხული წიგნის შესახებ, თავადაც სვამდნენ შეკითხვებს. როგორც აღმოჩნდა მათი საყვარელი საბავშვო ავტორი ნოდარ დუმბაძეა.

ოზურგეთის ცენტრალური ბიბლიოთეკა მსგავსი აქციების გამართვას სამომავლოდაც გეგმავს.

ოზურგეთის ცენტრალური ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

იქნება ქალი ბედნიერი? ბედნიერი იქნება სამყარო

* პირველი გვერდიდან

მიმართული იყო ქალთა პრობლემების შესწავლის, განხილვის და მათი ადვოკატირებიკენ. რომ ქალი მეტად უნდა იყოს აქტიური, საზოგადოებრივ, თუ პოლიტიკურ საქმიანობაში, რათა უკეთ მოაგვაროს არა მარტო მათი, არამედ სხვათა პრობლემები. „ალიონის“ სტუმარი ამჟამად კლუბის რამდენიმე ქალბატონია. შეკითხვაზე, რა მისცა მათ ქალთა კლუბის წევრობამ, ყველა მათგანი პასუხობს: – გავხდი მეტად აქტიური და თავდაჯერებული.

„ქალმა უპირობოდ არ უნდა აღიაროს მამაკაცის უპირატესობა“

ნანა თავდუმაძე, *ჟურნალისტი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის უფროსი.* ჰყავს ორი შვილი.

– თვლით, თუ არა, რომ ქალი ჩვენს საზოგადოებაში თანაბარი უფლებებით სარგებლობს?

– ქალის უფლებები ადამიანის უფლებებია და მისი განზოგადება ხდება ზუსტად იმიტომ, რომ დღევანდელ საზოგადოებაში ჯეროვნად არ არის დაცული ეს უფლება. არა მარტო სახელისუფლებო იერარქიის არამედ ყველა დონეზე.

– რატომ იგრძნობა დღეს ლიდერ ქალთა რაოდენობის სიმცირე?

–ქალი სამწუხაროდ დღეისათვის ლიდერის პოზიციებს თმობს და ამის მიზეზი გარკვეულწილად შეიძლება იყოს საზოგადოების შეხედულება, ტრადიციები. იმის გათვალისწინებით, რომ ქალის შესაძლებლობები უსასრულოა, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ქალის როგორც ლიდერის ფენომენი უცხო არ უნდა იყოს. იმისთვის, რომ ქალმა მოახერხოს თავისი შესაძლებლობების რეალიზება, უნდა იყოს აქტიური, მონაწილეობდეს გადაწყვეტილებების მიღების პრპოცესში. უპირობოდ არ უნდა აღიაროს მამაკაცის უპირატესობა.

„ქვეყანაში მხოლოდ ქალის უფლებების შელახვაზე საუბარი არ მიმაჩნია სწორად, რადგან ყველას უფლება შელახულია“

მარინა სუნგულია, *რესპუბლიკური პარტიის წევრი, პროფესიით ბიოლოგი.* ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი. გატაცებულია ხელოვნებით. ხატავს, ქარგავს, ქმნის გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშთა ნაკეთობებს.

–ირღვევა თუ არა ჩვენს ქვეყანაში ქალთა უფლებები?

ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ ქალის უფლებები არ იღვევევა. ზოგადად ადამიანის უფლებები ირღვევა. მე ვთვლი, რომ ჩვენ ვცხოვრობთ პირობითი „დემოკრატიის" პირობებში. რისი დასტურიც არის ახლახან საარჩევნოდ, სახელდახელოდ მიღებული კანონპროექტი, სადაც ადამიანს აუკრძალეს ყველა ის უფლება, რაც დემოკრატიამ უნდა მიანიჭოს. ამიტომ, ასეთ ქვეყანაში მხოლოდ ქალის უფლებების შელახვაზე საუბარი არ მიმაჩნია სწორად, რადგან ყველას უფლება შელახულია. ჩვენ ორმაგი სტანდარტების ქვეყანაში ვცხოვრობთ, სადაც ნეობოლშევიზმის ყველა თვისება შეინიშნება. გვაქვს დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებული დიქტატორული სახელმწიფო. ხელისუფლებამ გარშემო „საბაჩკინები“ (ბულგაკოვი) შემოიკრიბა, რომლებიც მზად არიან ამ დიდების და პატივის გამო, რომელიც არაფრით დაუმსახურებიათ, თავი შესწირონ ამ დიქტატს.

რამდენად დიდია ქალის როლი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში?

– ვიტყვი, რომ ქალის როლი საქართველოში ისტორიულად დიდი იყო. როცა საქართველოში ქალის უფლების შელახვაზე საუბრობენ, ხშირად იმას გულისხმობენ, რომ ოჯახის უფროსი მამაკაცია. ამისადმი მე ჩემეული დამოკიდებულება მაქვს, რადგან ოჯახი პატარა სახელმწიფოს მოდელად მიმაჩნია, სადაც ყველას თავისი ფუნქცია აქვს. თუმცა ზოგჯერ რიგი გარემოებების გამო თავზე ერთმანეთის ფუნქციას იღებენ. თუ ოჯახი სიყვარულის და ურთიერთგაგების საფუძველზეა შექმნილი, არანაირად არ ხდება ქალის უფლებების შეზღუდვა. ჭკვიანი ქალი არის ოჯახის სულიერების და ზნეობის განმსაზღვრელი. ქალს იგივე ფუნქციის აღება შეუძლია სახელმწიფოს მართვის პროცესში. მას მნიშვნელოვანი როლი აქვს პოლიტიკაში. ქალები ძალიან ბევრ ყოფით პრობლემას გაცილებით კარგად იცნობენ, ვიდრე მამაკაცები და დაძაბულ სიტუაციაში თეთრი მანდილის გამოყენებაც ქალებს შეუძლიათ ოსტატურად.

„აქტიური ქალი საზოგადოებას ძალიან უხდება, თავად მეც აქტიური ვარ“

ნინო ჯაველიძე, *ისტორიკოსი, ცხემლისხიდის საჯარო სკოლის პედაგოგი, შალვა რადიანის სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელმძღვანელი. (რომლის გადარჩენაშიც უდიდესი ამაგი მიუძღვის)*

„მიყვარს საზოგადოებაში ტრიალი, კარგად ვუთავსებ ერთმანეთს პედაგოგიურ, სამეცნიერო და ოჯახურ საქმიანობას. ჩემი ოჯახის სამომხმარებლო კალათის შემვსებელი მე ვარ. მიყვარს სტუმარი ჩემს სახლში და მიყვარს, როცა სტუმრად მივდივარ ხოლმე.“ – ქ-ნი ნინო ამბობს, რომ პოლიტიკაში ქალი მხოლოდ საჭირო კი არა, აუცილებელია.

– როცა ქალი საქმეს ხელს ჰკიდებს, უფრო ფაქიზი და ხარისხიანი გამოსდის. ის უფრო სანდო და პასუხისმგებლიანია. ამბობენ, მამაკაცები სიტუაციურ ამოცანას უფრო სწორად და სწრაფად ხსნიანო, ყოველთვის ასე არ არის. პირველ რიგში ოჯახი უნდა იყოს ძლიერი. ე ჩემს მოსწავლეებს ასე ვასწავლი, – სახელმწიფო, ე სარის ერთი, ორი სამი... მოწესრიგებული ოჯახი, შემდეგ სოფელი და ა.შ.

– რა ცვლილებები გაუუმჯობესებს ქალთა მდგომარეობას ქვეყანაში?

– ბევრი კარგი რამ გაკეთდა ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. თუმცა ვხედავ, ბევრი პრობლემის წინაშე დგას ჩვენი ქალები. ყველა ქალი არ არის განათლებული, აქტიური, რაც მათ ხშირად უქმნით პრობლემებს. მართალია ჩვენს ოჯახებში ლიდერი მამაკაცია, მაგრამ ოჯახში ხშირად ქალია შემომტანი. ეს კი ხშირად ძალიან მძიმე შრომასთან იგივდება. არაფერი შემოევლება ქალთა დასაქმების საკითხს. აუცილებლად უნდა იყოს მშობიარობა უფასო. კარგია დახმარება მესამე და მეოთხე შვილზე, მაგრამ მაქამდე ხომ უნდა მივიდეს ოჯახი. ქალს ასევე აუცილებლად ესაჭიროება დასვენება. მას ამისი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. კარგია, რომ არსებობს ქალთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები, მაგრამ უნდა იყოს ასეთივე სამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებიც უფრო სრულფასოვნად დაეხმარება ქალს.

„ქალმა უნდა იცოდეს თავისი უფლებები“

ირინა საჯაია, *ნაციონალური პარტიის წევრი, პროფესიით გეოგრაფი.*

მუშაობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, არის საკრებულოს მეორე მოწვევის დეპუტატი. დასაოჯახებელია.

–ირღვევა თუ არა ჩვენს ქვეყანაში ქალთა უფლებები და რა არის საჭირო იმისთვის, რომ ქალმა სრულუფლებიან წევრად იგრძნოს თავი ოჯახში, საზოგადოებაში?

–ჩვენს რეალობაში ხშირია შემთხვევები ქალებზე ოჯახური ძალადობისა, რაც დაუშვებელია. სწორედ ამიტომაა საჭირო ქალის გააქტიურება. მან უნდა იცოდეს საკუთარი უფლებები. თუ თავისი უფლებები კარგად ეცოდინება , მაშინ არ იქნება დაჩაგრული და ადვილად დაიმკვიდრებს თავის ადგილს. რაც შეეხება ქალს პოლიტიკაში, ვთლი, რომ მისი ადგილი ნამდვილად არის პოლიტიკაში. არავინ თქვას, რომ თუ ქალები პოლიტიკაში არ ერთვებიან, ეს მამაკაცის ბრალია. ამისთვის მამაკაცის ნება კი არა ქალის სურვილია აუცილებელი. ქალი ხშირ შემთხვევაში პასიურია და ფიქრობს, რომ მისი ადგილი არ არის პოლიტიკაში. არადა ასე ნამდვილად არ არის.

„კაცს შეუძლია ორი საქმე აკეთოს ერთად, ქალს – ცხრა“

ნათელა გოგიტიძე, *ოზურგეთის მუნიციპალიტეტის №8 საბავშვო ბაღის გამგე.* კარგი დედა, ბებია, მეუღლე, მეგობარი, ხელმძღვანელი, მეზობელი, ასე ახასიათებენ მას. ბუნებით მშვიდი, წყნარად მოსაუბრეა.

– ჩვენ ისეთი ერი ვართ, რომელსაც ძალიან დიდი განსაცდელი არგუნა განგებამ, თუმცა ერის თვითმყოფადობა არასოდეს დაგვიკარგავს. ძალიან მაშინებს ბევრი სიახლე, რომელიც საფრთხეს უქმნის ჩვენს ღირებულებებს, იმ ტრადიციებს, რომელსაც ჩვენი წინაპრები სათუთად ინახავდნენ. საამისოდ ხშირად თავს და შვილებსაც სწირავდნენ. წინათ ქართველი მამაკაცები მამაცობით და ქალები ღირსებით ამაყობდნენ. თუ ეს ასე არ იქნება, ერი წაიშლება.. შვილები ღირსეულად უნდა აღვზარდოთ და არა სხვათა მიბაძვით. ასეთი შეხედულებები დღეს უკვე გაუფერულდა“ – გულდაწყვეტით საუბრობს ქ-ნი ნათელა. ამბობს იმასაც, რომ დღევანდელი სატელევიზიო გადაცემები სწორედ ამას უწყობენ ხელს. „ჩვენ არ გვინდა სხვისი ცხოვრებით ვიცხოვროთ, საკუთარი ცხოვრება გვაქვს მისახედი.

– მიგაჩნიათ თუ არა, რომ პოლიტიკაში ქალი მეტად უნდა იყოს წარმოდგენილი და აქტიურად ჩართული?

– პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობა აუცილებელია, რადგან არის ბევრი საკითხი, რომელიც ქალმა მამაკაცზე უკეთ იცის, მას ბევრი პრობლემის მოგვარება შეუძლია, რადგან ოჯახში მას დიდი ფუნქცია აკისრია და გარკვეულწილად ამისი უნარჩვევები გააჩნია. ოჯახში ქალი მამაკაცთან ერთად თანაბრად წყვეტს საოჯახო საკითხებს, ზოგჯერ მეტადაც. თუმცა ქალი ჯერ დედა უნდა იყოს და მერე პოლიტიკოსი. მაგრამ თუ მას გვერდით კარგი მეუღლე ჰყავს, ის კარგი პოლიტიკოსი იქნება.

რაც შეეხება ქალთა სიმრავლეს პოლიტიკაში, ვიტყვი, რომ აქ ქალები წარმოდგენილი უნდა იყვნენ არა რაოდენობის მიხედვით, არამედ თავიანთი ღირსებებისა და განათლების მიხედვით. ისინი სამაგალითონი და მისაბაძნი უნდა იყვნენ სხვათათვის.

– გაქვთ თუ არა სურვილი პოლიტიკური საქმიანობისა და რა საკითხებზე იმუშავებდით, პოლიტიკაში მოსვლის შემთხვევაში?

პოლიტიკაში ჩემი მოსვლა უკვე დაგვიანებულია. ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ გაკეთებული საქმე ვერ დაინახოს, მაგრამ ბევრი რამ ისევ მისახედია. მისახედია ჯანდაცვა, ძალიან ბევრი ადამიანი იღუპება უექიმობით. დასარეგულირებელია წამლების ფასები და შესასწავლია მათი ხარისხი. თუ ქვეყანაში ადამიანები არ იქნებიან ჯანმრთელნი და განათლებულნი, ასეთი სახელმწიფო მკვდარია.

მინდა ყველა ქალი თავის შესაძლებლობის რეალიზებას საშობლოში ახდენდეს

ქეთევან ქადიმშვილი, *№5 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე.*

გაზაფხულმა შემოაღო კარი
შემომცინა იისფერმა მარტმა.
აშრიალდა ნაირფერი ჩითი
დაუქროლა ნიავმა და ქარმა.
ჩიტუნებმა სითბო იგრძნეს
მარტის,
მოუხშირეს გალობას და
სტვენას.
გაზაფხულის მობრძანებას
ქვეყნად
მოგილოცავთ
ყველას, ყველას, ყველას!!!

ყველა ქალს დედას, ბებიას, დეიდას, მამიდას, ბიცოლას, მულს, დედამთილს ვულოცავ გაზაფხულის უმშვენიერეს დღესასწაულებს დედისა და ქალთა დღეს. ჯანმრთელობას, ბედნიერებას, უთვალავ სიხარულს და გამართლებულ სიყვარულს ვუსურვებ. მინდა ყველა ქალი თავის შესაძლებლობის რეალიზებას საშობლ-ოში ახდენდეს და საზღვრებს გარეთ მხოლოდ შვებულების გასატარებლად მიდიოდეს. მინდა ქართველმა ქალებმა ისევე წარმატებით აითვისონ პოლიტიკური სარბიელი, როგორც სხვა დანარჩენი სფერო. მინდა სულ ისმოდეს საქართველოში დედის თქმული იავნანა, როგორც ნიშანი ქართველთა რწმენისა და არსებობისა.

ქალი უფრო მოქნილია პოლიტიკაში, ხშირად გამჭრიახიც“

მარინა კიპაროიძე, *პროფესიით ინჟინერი,* ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი. არის ინდმეწარმე. კარგი კულინარი.

– ქალი და კაცი რამ გაყო, ჭკუა ქალსაც აქვს და კაცსაც, რატომ უნდა დაიჩაგროს, იმიტომ რომ ქალია? ქალი უფრო მოქნილია პოლიტიკაში და საზოგადოებრივ საქმიანობაში, ხშირად გამჭრიახიც, ოღონდ ქალს გააჩნია. “ – ცოტა გაიკვირვა კიდეც, ქ-ნმა მარინამ, როცა ქალთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი საქმიანობის აქტიურობის შესახებ ვკითხეთ. ამბობს, რომ პოლიტიკაში ყოფნა მისთვის მისაღებია.

– რა საკითხებზე იმუშავებდი პოლიტიკაში მოსვლის შემთხვევაში?

– ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო მოითხოვს ცვლილებებს. პირველ რიგში სოფლის მეურნეობა უნდა აღორძინდეს, ბაზარი ადგილობრივი პროდუქტებით გამოიკვებოს. უმართავია ფასები და აუცილებელია მისი რეგულირება. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს გლეხთა საფირმო პროდუქციის შექმნას. აუცილებელია სოციალურად დაუცველ ახლადდაქორწინებულთათვის ფულადი დახმარება, რათა ოჯახი შეიქმნას. უნდა შემცირდეს კომუ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

იქნება ქალი ბედნიერი? ბედნიერი იქნება სამყარო

ნალური გადასახადები. ოჯახები უნდა გახდეს გადამხდელუნარიანი. ხელისუფლება საკუთარ შემოსავლებზე გათვლით არ უნდა საზღვრავდეს გადასახადების რაოდენობას.

– რამდენად შეუთავსებს ქალი ერთმანეთს პოლიტიკურ თუ საოჯახო საქმიანობას?

– როცა ქალთა დიდი ნაწილი საზოგადოებრივი საქმიანობით საკმაოდაა დატვირთული, როცა ქალთა უმრავლესობა ოჯახში ძირითადი შემომტანია და ამაზე ნაკლებად საუბრობენ, რატომ უნდა იყოს გასაკვირი ქალის აქტიურობა პოლიტიკაში. როცა ქალი ძლიერია, გაწონასწორებული, ზნეობრივად მაღალი, ის კარგი პოლიტიკოსი იქნება. თუმცა ვთვლი, რომ პოლიტიკაში შიშველი ხელებით მოსვლა ძნელია. ამ შემთხვევაში ოჯახი მატერიალურადაც ძლიერი უნდა იყოს.

– ქალთა პრობლემებზე რას იტყვით?

– ყველა საჭირო ცვლილება თავისთავად პრობლემაცაა. თუმცა ასევე პრობლემაა ასაკთან დამოკიდებულება. ვფიქრობ, ორმოცდაათს გადაცილებული ქალი არ არის გადასაგდები არც პოლიტიკაში, არც საზოგადოებრივ საქმიანობაში.

„ქალები უფრო მეტად უნდა იყვნენ ერთიანნი“

ნანა კეკელიძე, *ფილოლოგი, ქალთა კლუბის მოდერატორი, საბავშვო ბაღის პედაგოგი.* აქვს მცირე ბიზნესი. არის დასაოჯახებელი.

–„კაცებზე უკეთ თუ არა, ნაკლებად არ აკეთებენ საქმეს ქალები. თუმცა, სამწუხაროდ, უპირატესობას მამაკაცებს ანიჭებენ. ახლა ისეთი დროა, ქალს უნდა თუ არა, გარეთ გამოვიდა, ძალიან ბევრს შრომობს, მამაკაცები კი ხშირად სახლებში სხედან“.

– თუ მათ არ აქვთ სამსახური, ან სამუშაო?

– ის ხომ მაინც შეუძლიათ, გვერდით დაუდგნენ ქალებს, ტვირთის გადაზიდვაში მაინც დაეხმარონ.

– თავად თუ გაქვთ სურვილი იყოთ პოლიტიკაში?

– რატომაც არა. შესაძლებელია, თუმცა პოლიტიკაში რომ მოხვიდე, ამას დიდი შრომა და ფინანსები სჭირდება. რათა უკეთ გაგიცნოს საზოგადოებამ. ასევე საჭიროა პოლიტიკურმა პარტიებმა თავად იზრუნონ ქალთა წარმოსაჩენად. არ აქვს მნიშვნელობა, ოპოზიციური იქნება, თუ სამთავრობო. აუცილებელია ოჯახის მხარდაჭერა. როცა ოჯახი მხარს უჭერს ქალს, ბევრი ქალი შესძლებს იყოს პოლიტიკაში აქტიურად დატვირთული. ქალის წარმატებაში ოჯახის მხარდაჭერა ერთ-ერთი აუცილებელია. თუმცა ფორტუნაც თავისებურად მუშაობს.

– თქვენ რა ცვლილებებს განახორციელებდით თუნდაც ჩვენს ქალაქში?

–კეთილმოვაწყობდი კულტურისა და დასვენების პარკს. ასეთივე დასასვენებელ ადგილებს მეტს და უკეთ გავაკეთებდი. რათა ჩვენმა პატარებმაც უკეთ იგრძნონ თავი და უფროსებმაც. უცილებელია კინოთეატრის ფუნქციონირება. მსახიობები და სპექტაკლზე მისული მაყურებელი სიცივისაგან არ უნდა გაიყინოს.

კითხვაზე, რა უყვარს ყველაზე ძალიან და რაზე ოცნებობს? გვიპასუხა, რომ არის რომანტიული, უყვარს ყვავილები, მაგრამ ყველაზე მეტად პატარა ძმისშვილი სანდრო. ოცნებობს ლამაზი ოჯახის შექმნაზე და უნდა, რომ ყველა ქალი იყოს ბედნიერი.

„ქალი დედის პოზიციიდან გამომდინარე უფრო გულისხმიერია“

თამარ ლომთათიძე, ჟურნალისტი, მუშაობს მუნიციპალიტეტის გამგეობაში შესყიდვების და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მთავარ სპეციალისტად შესყიდვების დარგში. არის დასაოჯახებელი.

თამარი ქალთა კლუბის შექმნიდან პირველი მოდერატორი გახლდათ.

–„მიმაჩნია, რომ ქალი პოლიტიკაში და საერთოდ საზოგადოებრივად აქტიურ ცხოვრებაში აუცილებლად უნდა იყოს ჩართული მეტი რაოდენობით. ის სხვა თავლით უყურებს ყველაფერს, ვიდრე მამაკაცი. ქალი მშობლის, დედის პოზიციიდან გამომდინარე უფრო გულისხმიერია. მამაკაცი უფრო ცივი გონებით წყვეტს საკითხებს. ზოგჯერ გულით გადაწყვეტილი საკითხი ჯობს გონებით გადაწყვეტილს.“

– რა ძირითადი პრობლემები დგას დღეს ქალთა წინაშე?

–ქალის ყველაზე დიდი პრობლემაა ის, რომ ის გახდა ოჯახში ძირითადი შემომტანი და მძიმე ტვირთი დააწვა მხრებზე. სწორედ იმიტომ, რომ ქალის ტვირთი მეტია ოჯახში, ვიდრე კაცისა, ქალს ლიდერობის სურვილი არ აქვს. არ სცალია, მოახდინოს საკუთარი თავის რეალიზება.

– რამდენად შესაძლებელია ქალმა ერთმანეთს შეუთავსოს საოჯახო და სამსახურებრივი საქმიანობა?

– ძნელია, მაგრამ შესაძლებელია, თუ რა თქმა უნდა ოჯახი და ის გარემო უწყობს ხელს, სადაც ის იმყოფება.

თამარი ხელოვნებითაა გატაცებული. კერავს, ქსოვს, მღერის, მუშაობს გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშთა ნაკეთობებზე. არის კარგი კულინარი და უყვარს კერძებისა და ნამცხვრების ლამაზად გაფორმება (ხელოვნების ნიჭი მას მამისგან დაჰყოლია, თავის უფროს დებთან, ნინოსა და ნატოსთან ერთად).

– როგორია ხელოვნებაში ქალის ადგილი და რამდენად ახერხებთ სრული სამსახურებრივი დატვირთვის მიუხედავად, იმუშაოთ თქვენს საყვარელ საქმეზე?

– ხელოვნებაში ქალი და კაცი განუსაზღვრელია. მეტიც, ქალი უფრო ნაზია და ფაქიზი.

სამსახურს კი მაინც ვუთავსებ ჩემს საქმეს. ცოტ-ცოტას ყველაფერს ვახერხებ, რაც ჩემს სულს ესაჭიროება.

თამარი ოცნებობს ჰქონდეს თავისი სალონი-სახელოსნო, სადაც შეეძლება ნამუშევრების დამზადება-გამოფენა-გაყიდვა. იტაცებს ოქრომჭედლობა.

მასალებზე მუშაობდნენ:
ნინო ნიკოლაიშვილი, მარი კოკოევი.

ყულფუსაყ

„ალიონელს“ მარი ჯობძოეგს დამადემის დღეს, ვუსურვემთ მედნიერემას, წარმატემემს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია

„ღმერთო, გამხადე მარადიული ბავშვობის ღირსი, მიცოცხლე დედა!...“

ვერ გეფერებით, ვერ გივლით ისე, როგორც შენ გეკადრება და მაინც გვპატიობ. ჭიშკართან მდგომი ღიმილით გვეგებები. ღიმილით და ლოცვით გვაცილებ. როგორი მტკიცე ხარ მაშინ, როცა პირველს გვწერ და რამდენი ჩუმი სევდაც იმალება თვალთა სიღრმეში, სევდა ხელახალი მოლოდინისა. შენს თვალთა გასწვრივ დაყოლილ ხაზებს თან დაჰყოლია შვილებზე ზრუნვა, შვილთათვის ნათენები ღამეები, მათზე ნაფიქრალ-ნაწუხარი. რამდენ სიძნელეს შესჭიდებიხარ შვილთა სიხარულით გულგახარებული. ძნელია ფიქრები გადმოსცე. შენ დედა ხარ და ეს ყველაფერია.

ეს სიტყვებიც ხომ რამდენი შვილის, რამდენი დედის ფიქრებში ჩაძირული გრძნობააეს ღვწა და შრომა, ეს სევდა და მოლოდინი, კარგად აისახა მწერლისა და ხელოვანის, ქ-ნ სულიკო ლომჯარიას ლექსში

დედათქვენი

წელში მოხრილი ხელში ჯოხით,
გახუნებული კაბითა და გაცვეთილი ფეხსაცმელებით
ეზოში დადის მოხუცი ქალი...
შეუჭამია ნაოჭებს თვალნი,
შეუჭამია კოჟრებს ხელები,
დადის სვენებით, ბორძიკ-ბორძიკით.
შუბლს მოიჩრდილებს დაკოჟრილ ხელით,
გასცქერის შარას...
ალბათ თქვენ გელის...
გელის და გელის
იქნებ ვერა სცნობთ?
დააკვირდით, დედაა თქვენი!
მისი თვალები სავსე იყო ერთ დროს ცის ფერით,
იყო ამაყი, იყო თბილი, სათნო და ტკბილი.
ეფერებოდა ისიც ერთ დროს ფუნჩულა ხელებს,
გიკრავდათ გულში და პაწაწინა
თქვენი გულის ძგერასთან ერთად
ათოვდა თეთრად...
ცივ ნიავს რომ არ დაექროლა
თქვენს ლამაზ აკვანს.
აფარებდათ მის კაბის კალთას...
ჭრელი ფოთოლი, ნაპოვნი სადღაც
უნდოდა თქვენდა, მხოლოდ თქენდა...
და იავნანას გიმღეროდათ
ხან მშიერი,
ხან მწყურვალი,
მაგრამ გული ჰქონდა მხურვალი,
და თქვენსავით კრეფდა ყვავილებს
ჩუმი მოფერებით
თმებს გივარცხნიდათ
ნაჯაფ ხელებით...
მასაც ისე უყვარდით ძლიერ,
როგორც თქვენ გიყვართ თქვენი ბალღები,
თქვენი ალერსით განალაღები...
ოჰ, აპატიეთ, დღეს აპატიეთ
თუ ვერ აგიგოთ სასახლეები,
ვერ დაგიგროვათ მარგალიტები,
გადაიტანა მან თავის ტვირთი,
ორჯერ მეტიც,
ვიდრე თქვენ გაქვთ გადასატანი.
ნუ გაიკვირვებთ, დღეს უძლური თუ
დააფარფატებს სხეულს, როგორც
ცარიელ ჭურჭელს,
და ბავშვივით თუ ჭირვეულობს.
თქვენს ფიქრებსაც ძველებურად
ველარ კითხულობს...
ნუ ჩაუვლით გვერდით გულგრილად,
ნუ დაამსხვრევ ცარიელ ჭურჭელს,
ნუ მოანატრებ თქვენს თავს მუდმივად
იგი თქვენთვის დაცარიელდა.
იქვე მის გვერდით გვირილები და ზიზილები
დაკრიფე ია,
და გახუნებულ კაბის კალთაში ჩაუწყვე
ფრთხილად.
ეზოში დადის მოხუცი ქალი,
წელში მოხრილი, ხელში ჯოხით...
დადის და გელის
ვერ იცანით?
დააკვირდით:
დედაა თქვენი!

პედაგოგთა გადამზადების პროგრამა

დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის ოფისში გურიის ახალგაზრდულმა რესურსცენტრმა სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის შუალედური კონფერენცია ჩაატარა.

ამ პროგრამის მიღწევებზე პროექტ „ჰარმონიას“ წარმომადგენელმა თამარ ფრუიძემ ისაუბრა. შემდეგ რეგიონის სხვადასხვა სკოლების სამოქალაქო კლუბებისა და საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლები გამოვიდნენ.

ამ პროექტის ფარგლებში გურიიდან წარდგენილ საგრანტო განაცხადებიდან ქ. ოზურგეთის №2, ლაითურის, ნარუჯის, მერიის საჯარო სკოლები დაფინანსდა. ამ სკოლების წარმომადგენლებმა მცირე გრანტებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე ისაუბრეს.

ნარუჯის სკოლის ისტორიის მასწავლებელმა თინა ასათიანმა, თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა დაეხმარა მას, რომ იგი მესამე საგანში წარმატებით ჩაებარებინა სასერთიფიკატო გამოცდა.

ამ დღეს სხვა წარმატებულ ბავშვებთან ერთად სოციალურ ქსელებში გამოცხადებულ ბლოგერების კონკურსში გამარჯვებული გურიის რეგიონიდან ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის მოსწავლე დიმა გობრონიძე დასახელდა. ყველა გამარჯვებულ ბავშვს შესაბამისი სერთიფიკატი გადაეცა. ბავშვებმა თავიანთ გამოსვლებში მადლობა გადაუხადეს გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრს საინტერესო თანამშრომლობისათვის.

პროექტის კოორდინატორმა თამარ ღლონტმა აღნიშნა, რომ ასეთ პროექტებში ბავშვების მონაწილეობა ხელს შეუწყობს მათ საზოგადოებრივ აქტიურობას და ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობას.

გულისხმიერი, ყურადღებიანი

ასე იცნობენ სოფელ ბაილეთში ქალბატონ დარეჯან ზაქარიაძეს. ეს აღიარება მან მართლაც ადამიანური თვისებებით, –სიკეთის თესვით, სითბოთი, თანასოფლელებთან ლამაზი ურთიერთობებით მოიპოვა. იგი მერიელია. ამ სოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სამედიცინო სასწავლებელი დაამთავრა და 25 წელი თავისი სპეციალობით ოზურგეთის სამშობიარო სახლში მუშაობდა. 1975 წელს სოფ. ბაილეთში გამოთხოვდა და წლების განმავლობაში სოფლის ექიმის თანაშემწედ მუშაობდა. ცნობილი იყო, როგორც საქმის კარგი მცოდნე, ექიმის დონეზე ასრულებდა თავის მოვალეობას.

ქალბატონი დარეჯანის ადამიანური ღირსება იმაში გამოიხატება, რომ არის ძალიან თავმდაბალი, დაუზარელი, საქმეზე უზომოდ შეყვარებული. დარია თუ ავდარია, როცა აუცილებელია, იგი სიშორის მიუხედავად, მიდის ,ავადმყოფთან და საჭირო მკურნალობას უტარებს, აძლევს მათ მიმართულებას, რაიონულ კლინიკაში რომელ ექიმთან მივიდეს.

კარგი ოჯახი აქვს ქალბატონ დარეჯანს, ჰყავს შესანიშნავი მეუღლე–ბატონი ბადრი, საამაყო შვილები.

აკაკიმ ანასეულის ბუნებათსარგებლობის ინსტიტუტი დაამთავრა, არჩეული იყო მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატად, ამჟამად მუშაობს მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო-სასწავლო ცენტრში, სახელმწიფო შესყიდვების სპეციალისტად. მისი მეუღლე ნინო ქუთათელაძე ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია ლაითურის საჯარო სკოლაში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული მეორე ვაჟს ილიას, ქალიშვილს, სიძეს ირაკლი მექვაბიშვილს. ისინი თბილისში ცხოვრობენ და მცირე მეწარმეობას ეწევიან. ჰყავთ ქალ-ვაჟი.

მართლაც ბედნიერი მეუღლე, დედა და ბებია ქალბატონი დარეჯანი.

ვუსურვოთ ქალბატონ დარეჯანს ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს თავის ლამაზ ოჯახთან ერთად.

ამირან მამულაიშვილი.

გზა უმაღლესი ლიგისაკენ

ოზურგეთის „მერცხალი“ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გამოტოვებულ მატჩში ნეიტრალურ მოედანზე, ქ. ხობში ტყიბულის „მეშახტეს“ შეხვდა. დაძაბულ ბრძოლაში გურულებმა იმარჯვეს და 68-ე წუთზე ზაზა ტუღუშის დარტყმის შემდეგ გოლი გაუტანეს მეტოქეს, 1:0 დაამარცხეს და მორიგი სამი ქულა მოიპოვეს.

ბოლოსწინა მატჩის წინ „მერცხალს“33 ქულა, ხოლო მის მდევარს ჭიათურის „მაღაროელს,“რომელმაც ასევე გამოტოვებულ მატჩში ნეიტრალურ მინდორზე დაამარცხა ხარაგოილის „ჩხერიმელა“31 ქულა ჰქონდა.

2 მარტს „მერცხალი“საკუთარ მოედანზე გათამაშების ლიდერს ბათუმის „დინამოს“შეხვდა.

შეხვედრა ორმხრივი იერიშებით დაიწყო.

მე-13 წუთზე ოზურგეთლებმა კუთხური ჩამოაწოდეს. მაღალ ბურთს სერგო ჩიგოგიძე მიწვდა და მისი თავური დარტყმა გოლით დაგვირგვინდა, 1:0.

33-ე წუთზე ბათუმლებს რევანშის აღების შანსი მიეცათ, მაგრამ ოზურგეთელთა მეკარე დავით ოდიშარიამ ითამაშა კარგად, 36-ე წუთზე მასპინძელთა მორიგი კუთხურის ჩაწოდების შემდეგ, მიხეილ ქობულაძის დარტყმა მცირედით გადასცდა კარის ხარიხას.

მეორე ტაიმში მასპინძლები უტევდნენ, რამდენჯერმე ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის საშუალება, მაგრამ მათი დარტყმები უზუსტო იყო, ან ბათუმელთა მეკარე რომან ტაკიძე იღებდა ბურთს.

1:0–ასე დასრულდა ეს მატჩი და „მერცხალმა“მეტად მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა, ხოლო მისმა უშუალო მდევარმა ჭიათურის „მაღაროელმა“მოუგო სამტრედიის „ლოკომოტივს“ (1:0) და კვლავ 2-ქულიანი სხვაობა შეინარჩუნა.

„მერცხალი“ამ ტურში ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: დავით ოდიშარია, გივი ხაჩიძე, მიხეილ ქობულაძე, თემურ ტყეშელაშვილი (გიორგი კაშია), ლაშა კალანდაძე, გიორგი ტყეშელაშვილი, თემურ ვარდუაშვილი, ლევან ათუაშვილი (ირაკლი ბაჯელიძე), დავით ვაშაკიძე, სერგო ჩიგოგიძე (ალექსანდრე ლორია).

6 მარტს, ბოლო ტურში, „მერცხალი“ ნეიტრალურ მოედანზე ხარაგოულის „ჩხერიმელას“ შეხვდება. ამ მატჩში „მერცხალმა“ ფრეს მაინც უნდა მიაღწიოს, რომ უმაღლესი ლიგის საგზურისათვის გააგრძელოს ბრძოლა.

მაისურაძის სახელობის ტურნირზე“

ქ. თბილისში ჩატარდა ვლადიმერ მაისურაძის ხსოვნის ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, 1995-97 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ტურნირში მონაწილეობდნენ საქართველოს რეგიონების და სომხეთის გუნდები, სულ 270 მოჭიდავე.

ოზურგეთის სპორტული სკოლის გუნდმა ამ ტურნირში I გუნდური ადგილი დაიკავა, II სომხეთის ნაკრები იყო, III–თბილისის ნაკრები.

42, 54, 58 63 კგ. წონით კატეგორიებში I ადგილი დაიკავეს დავით ჩხარტიშვილმა, გიორგი ხუჭუამ, თემურ კვაჭაძემ, გიორგი ჯაფარიძემ (მწვთნელები ვლადიმერ, ირაკლი ზურაბიანები, ალ. ბოლქვაძე).

69 კგ. წონით კატეგორიაში I ადგილი დაიკავა აჭარის სახელით მოასპარეზე, ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღზრდილმა გიორგი ჩხარტიშვილმა (მწ. გურამ მაჭარაშვილი).

46 და 50 კგ. წონით კატეგორიაში II საპრიზო ადგილი დაიკავეს იური ლომაძემ და ლევან ქავჟარაძემ (მწ. ძმები ზურაბიანები, ალ. ბოლქვაძე)

54, 76, მძიმე წონით კატეგორიებში III ადგილი დაიკავეს აკაკი ჩანჩიბაძემ, ვასილ თავბერიძემ, გიორგი დარჩიამ (მწ. ძმები ზურაბიანები, გურამ მაჭარაშვილი).

გუნდის მომზადებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს მწვრთნელებმა დავით მელუამ, ანზორ ლომაძემ, გია ბაქანიძემ, თენგიზ მუჯირმა.

აღნიშნულ ტურნირზე დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ევროპისა და მსოფლიოს პირველობაზე.

რენო ურუშაძე



გარდაიცვალა კოლორიტი ოზურგეთელი რენო ურუშაძე. გურიამ და სრულიად საქართველომ დაკარგა სამშობლოზე, მამულზე, დედაეკლესიაზე უსაზღვროდ შეყვარებული ვაჟკაცი კაცი, რომლის ცხოვრების კრედო იყო ოჯახის, მეგობრის სიყვარული, სხვისდამი თანადგომა.

არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრების გზას მის მიერ გაკეთებული კარიერით აფასებენ, ზოგს ფინანსური შესაძლებლობით, ზოგს ოჯახით. ბატონი რენოს მიერ განვლილი ცხოვრების გზა ზნეობის ყველა ნორმებს აკმაყოფილებდა და გამორჩეული მასში იყო ოზურგეთლობა, ამ ქალაქის, ამ მხარის განსაკუთრებული სიყვარული.

კაცი, რომელმაც II მსოფლიო ომში დაღუპული საკუთარი მამის საფლავი მოძებნა უნგრეთის მიწაზე და არც სხვა საფლავეს აკლებდა ყურადღებას.

მეგობრის, მოყვასის გვერდით მდგომი, უჩუმრად თესავდა სიკეთეს, ეწეოდა ქველმოქმედებას.

ოზურგეთის სტუმრების მასპინძლად თვლიდა თავს და არაერთი სტუმარი მოხიბლულა ამ კაცის ყურადღებით. ერთ-ერთი მაგალითი: როგორ მაქსიმალურად დაიხარჯა, როცა ამ ათიოდე წლის წინ გურიას დიდი ქართველი მწერალი ოტია იოსელიანი სტუმრობდა.

არ აკლდა თანამდებობრივი ტიტულები: ქ. ოზურგეთის მერი, ოზურგეთის ენერგოქსელების უფროსი, ბჟუჟესის დირექტორი და ა.შ. მაგრამ მისი მთავარი თანამდებობა „ოზურგეთლობა“ იყო.

ახლა მისი თანაკლასელები, მეგობრები იხსენებდნენ, როგორ წავიდნენ ვაჟთა №1 საშუალო სკოლის უფროსკლასელები შატალოზე მდ. ბჟუჟზე, როგორ ატარებდნენ ღამეებს მონადირის კარავში პალიასტომის მისადგომებზე, ან კიდევ როგორ ეხმარებოდა იგი გარდაცვლილი მეგობრების ოჯახებს, რიგით ოზურგეთლებს, როგორ ედგა გვერდით ქალაქს, ეკლესიას და ა.შ.

გარდაცვლილის ერთმა ახლობელმა თქვა:–„რა უნდა დაიწეროს, იგი რენო იყო და ამაში ყველაფერია თქმულიო.“

ახლა უფლის გზასაა შემდგარი იგი. ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს.

გაზეთ „ალიონის“რედაქცია.

იგი ჯუმათის მონასტრის დიდი ქომაგი იყო

ოზურგეთელებმა კარგი მამულიშვილი დაკარგეს. ალბათ აქაურთა დიდმა ნაწილმა არ იცის, რომ ბატონ რენოს დიდი ღვაწლი აქვს ჯუმათის მონასტრის აღდგენაში.

მაშინ, როდესაც ბევრს კომუნისტური პარტიის მანდატს ამოფარებულთ–კომუნისტების შიშით ტაძარში შესვლის და პირჯვრის გადწერის ეშინოდათ, თითო-ოროლა თბილისელი და ოზურგეთელი, აწ გარდაცვლილი, დიდი ქართველის, პროფესორ ჯუმალ მეტრეველის თაოსნობით, ჯუმათის მონასტერს აღდგენდა.

ბ-ნი რენო, როგორც ფიზიკურად, ისე სამშენებლო მასალებით, მატერიალურადაც აქტიურად მონაწილეობდა ჯუმათის მონასტრის აღდგენაში. იგი შემდგომშიც ეხმარებოდა მონასტერს სურსათით, ტანსაცმლით და ა.შ.

ჯუმათის მონასტერი 1990 წელს გახდა მოქმედი და იმ დღიდან, ყოველ 21 ნოემბერს, მთავარანგელოზობის ზეიმის მონაწილე იყო, მაშინაც კი, როდესაც მძიმედ იყო ავად. მან ამჯერადაც განსაკუთრებული დახმარება აღმოუჩინა მონასტერს.

წავიდა ამ ქვეყნიდან დიდი ქართველი, კაცური კაცი, რომელიც დააკლდა ოზურგეთს.

ღმერთმა დალოცოს და დღეგრძელობა მისცეს მის ოჯახს.

ტარიელ ჩხარტიშვილი,

ჩემს უსაყვარლეს და საიმედო მეგობარს ცხარე ცრემლებით დავტირი. დარწმუნებული ვარ, მისი სული სასუფეველში იქნება. მშვიდობით ჩემო საუკეთესო და შეუცვლელო მეგობარო.

შენი ძმა მურმან დუნდუა

დარეჯან ჟლენტი-ინწკირველის მონატრება

დარეჯან! ჩვენო ტკივილიანო მონატრებავ, დადგა გაზაფხული. გილოცავთ დედის დღეს და უშენოდ მოსულ დაბადების დღეს–12 მარტს.

როგორ გიყვარდა ეს დღე შენც და ჩვენც, სულ ახალგაზრდამ დაგვტოვე.

შენ ძალიან კარგი, კეთილი, ხალისიანი, ლამაზი, სიყვარულით და სიცოცხლით სავსე იყავი. რაც დრო გადის, უფრო მეტად გვენატრები. დაგვიტოვე უსაზღვრო ტკივილი და მოგონება. გიგონებთ და თვალები ცრემლებით გვევსება, როგორ გინდოდა სიცოცხლე, ტკივილებს უხმოდ იტანდი, სიკვდილზე ფიქრი ზედმეტი იყო შენთვის, ჩვენც არ ვიცოდით შენი ლამაზი სიცოცხლე მალე თუ გაგვიფრინდებოდა, შენი ოცნებები მომავალზე შენთან ერთად თუ წავიდოდა.

ბიცოლები: ციცო, ციური ოჯახებით.

ძვირფასო ქალბატონებო!

აფთიაქი „ჯარიბჯე“ და ზუსაბ გუჯაბიძე, ექიმი-სტომატოლოგი თამთა გუჯაბიძე, ექიმი-მასაჟისტი-ოსთოპედი ინგა ხინთიბიძე გილოცავთ გაზაფხულის ღამაზ დღესასწაულებს!

გისურვებთ ჯანმრთელობას, სიყვარულს, ბედნიერებას. გვეწვიეთ, ჩვენთან იაფი ფასები და ყვალიფიციური მომსახურებაა!

მისამართი: ქ. ოზურგეთი, აპ. წულაძის ქ. №1. (რ)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრი გილოცავთ გაზაფხულის ღამაზ დღესასწაულებს.

გისურვებთ შვილთა სიმრავლეს, თქვენი და თქვენი ჯატარების ბედნიერებით გეხაროთ!

თოჯინების თეატრის დირექცია (რ)

გილოცავთ!

სააქციო საზოგადოება „იმედი“ გილოცავთ ქალთა ღამაზ დღესასწაულებს!

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, უღევ სიხარულს!

გვეწვიეთ, ჩვენთან სარეკლამო საჩუქრების ფართო არჩევანია. (რ)

ოზურგეთის საჩოგბურთო სკოლის პერსპექტივები

წელს, გურიის ოლიმპიური კომიტეტის სხდომაზე სამი ძირითადი საკითხი განიხილეს. მათ შორის ერთ-ერთი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჩოგბურთო სკოლის მუშაობა იყო. მოგეხსენებათ, 2015 წელს საქართველოში ახალგაზრდული ოლიმპიადა უნდა გაიმართოს და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის და მისი რეგიონული სტრუქტურები სპორტის სხვადასხვა ოლიმპიური სახეობების განვითარების საკითხებზე მუშაობენ.

გურიის ოლიმპიური კომიტეტი თბილისში კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩოგბურთის მწვრთნელის გაგზავნასაც გეგმავს, ხოლო მასში რეგიონის პირველობას გამართავს მოსწავლეთა და უფროსი ასაკის ჩოგბურთელებს შორის.

ოზურგეთის საჩოგბურთო სკოლის აღსაზრდელები ზამთრის პერიოდში სხვადასხვა დარბაზში ვარჯიშობენ. ამჟამად ისინი წმ. ნინოს სახელობის სასულიერო სკოლის დარბაზში ვარჯიშობენ. სკოლის დირექტორის მამუკა კილაძის თქმით, ისინი აპრილიდან ვარჯიშს მდ. ბუჟეის სანაპიროზე, ჩოგბურთის კორტებზე განაახლებენ და ნოემბრის ბოლომდე იქ ივარჯიშებენ. ამ პერიოდში გაიმართება სხვადასხვა პირველობები, როგორც ბავშვებს, ისე დიდებს შორის.

შარშან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილმა და სპორტის განვითარების ცენტრის დირექტორმა ბიძინა გობრონიძემ გარდამავალი თასი დააწესეს უფროსი ასაკის ჩოგბურთელთა რეგიონულ ტურნირში გამარჯვებულისათვის.

***

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჩოგბურთო სკოლა აცხადებს ბავშვების მიღებას 8-დან 16 წლამდე. მეცადინეობები გაიმართება წმ. ნინოს სასულიერო სკოლის დარბაზში. სკოლის დირექციას დაუკავშირდით:

(598) 262646; (598) 474703.

იყიდება
კაპიტალური სახლი, ბელეტაჟზე.
(ფასი შეთანხმებით)
მის: თაყაიშვილის II ჩიხი, №13 (ეჭალია)
ტელ: 557 41 03 41.

გილოცავთ ქალთა და დედის დღეს!

აფთიაქი „ისიდორე“ გილოცავთ გაზაფხულის ღამაზ დღესასწაულებს. გისურვებთ ღვთის წყალობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ულევ სიყვარულს. გვეწვიეთ, ჩვენი მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, აპ. წულაძის ქ. №17 (რ)

მარინა კოტრიკაძის შეგირდების წარმატება

ოზურგეთელმა ნიკა კარტავცევმა მსოფლიო ჩემპიონატზე წასასვლელი ლიცენზია მოიპოვა

24-26 თებერვალს, ქ. თბილისში დიმიტრი იოსელიანის სახელობის მძლეოსნობის ზამთრის სასახლეში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც ოზურგეთის მძლეოსანთა ნაკრები გუნდი მონაწილეობდა. ოზურგეთის ღირსებას იცავდნენ: ნიკა კარტაცევი, შოთა ზოიძე, გოგა ჭიხვარია, თორნიკე სვანიძე, სოფო შათირიშვილი, ელენე ტოლსტოვა, ანი მუჯირი.

ოზურგეთლები შესანიშნავად გამოვიდნენ ამ ტურნირზე და 108 ქულით გუნდური I ადგილი დაიკავეს. ისინი შესაბამისი ხარისხის დიპლომებითა და თასით დააჯილდოეს.

მთავარი შედეგი–ნიკა კარტავცევის მიერ 7-12 მარტს, ქ. სტამბულში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატის ლიცენზიის მოპოვება იყო. ეს ქართველი მძეოსნის უდაოდ დიდი წარმატებაა.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება კოლორიტი ოზურგეთელის, გაზეთის მეგობრის **რენო ურუშაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

თინა მიქაბერიძის ოჯახი იუწყება **რენო ურუშაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი **ნუგზარ ასათიანი**
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru